ომი და მშვიდობა

თბილისის თავისუფალი აკადემია
ჟურნალი "მომავლის ლიდერი"

N7 (17) იანვარი - თებერვალი 2022 წელი

მთავარი რედაქტორი
სალომე პირველი
თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი,
სამართლის მეცნიერებათა დოქტორი

სარედაქციო საბჭო
მარინე კობალავა
თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე რექტორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მარიამ სიხარულიძე
თბილისის თავისუფალი აკადემიის
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინი ჩაჩხიანი
თბილისის თავისუფალი აკადემიის
ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი

გრაფიკული დიზაინერი
სოფიკო ალფაიძე

პროექტი ხორციელდება თბილისის თავისუფალი აკადემიის „ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის“ მიერ

ISSN 2667-923X

© თბილისის თავისუფალი აკადემია
გამომცემლობა, თბილისი 2022

„ომი ბარბაროსობაა, როცა მშვიდ მეზობელს თავს ესხმიან, მაგრამ წმინდა მოვალეობაა, როცა სამშობლოს იცავ“.

კაცობრიობის ისტორია სავსეა სისხლიანი ბრძოლებითა და ბატალიებით. დრონი იცვლებიან,მაგრამ ადამიანები ერთმანეთის სიძულვილის გრძნობას მაინც არ კარგავენ და ბრძოლის ველს სისხლით რწყავენ.

ყველა ეპოქას თავისი კანონები და სტერეოტიპები ჰქონდა, მაგრამ ომის მიზანი არასდროს იცვლება - ომი დაპყრობისა და თავდაცვისათვის...

WAR

ომები მათი მიზეზების ან მიზნების შესაბამისად

ეკონომიკური ომები: ტერიტორიის ეკონომიკური კონტროლი, სავაჭრო გზები, ნედლეულის მოპოვება, წყლის კონტროლი.

პოლიტიკური ომები: დამოუკიდებლობის ომები, კოლონიური ექსპანსიის ომები, აჯანყების ომები, გამოყოფის ომები და ა.შ.

მორალური ან იდეოლოგიური ომები: სხვათა შორის წმინდა ომები, რასობრივი ომები (ეთნიკური წმენდა), ეროვნული ღირსების, პატივის, იდეური გაფართოების შთაგონებული ომები.

იურიდიული ომი: დავები, რომლებიც გამომდინარეობს ხელშეკრულებებისა და ალიანსების დარღვევიდან, ან ბოროტად გამოყენება იგივე მიზნებისა



1945 წლის შემდეგ, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, ომების რიცხვიც შემცირდა. ისეთი მასშტაბური დაპირისპირებები, როგორებიცაა მსოფლიო ომები, აღარ განმეორებულა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სამყაროში მშვიდობამ დაისადგურა და ბრძოლებიც შეწყდა. ძალიან ბევრი ლოკალური დაპირისპირება მიმდინარეობს დღემდე, სადაც უამრავი ადამიანი იღუპება, ისინი თავს წირავენ სამშობლოსთვის და ამის შემჩერებელი არავინ ჩანს...

„ომის მოგება შეიძლება, მაგრამ მშვიდობას ვერასდროს მოიგებ“
(ალბერტ აინშტაინი)

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ომი და მშვიდობა ერთ - ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად რჩებოდა. ადამიანებმა იგემა ომის გამანადგურებელი შედეგები მსოფლიო თუ რეგიონული კონფლიქტების სახით, ომი არ არის კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი საშუალება. თუმცა ფილოსოფიურ მოძღვრებაში გვხვდება ტერმინი „სამართლიანი ომი“. ომი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ მას მიმართავენ შეთანხმების ყველანაირი არაძალადობრივი ხერხის ამოწურვის შემდეგ, თავდაცვისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მკაცრი დარღვევის (მაგალითად, გენოციდი) შემთხვევაში.

ომი თუ მშვიდობა? ძალიან ბევრი მეცნიერი, ფილოსოფოსი, მკვლევარი თანხმება იმაზე, რომ თუ ადამიანები მოინდომებენ, შეძლებენ შექმნან სამყარო, სადაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ბრძოლები და მსოფლიოში მშვიდობა დაისადგურებს. მათი აზრით, დღეს სამყარო ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, რომ სახელმწიფოები ერთმანეთში კონფლიქტის მაგივრად, უნდა გაერთიანდნენ და ამ გამოწვევებს ერთად გაუმკლავდნენ. ეკოლოგიური პრობლემები, ვირუსები, რომელმაც კარგად გვაჩვენა რა უძლურია ადამიანი, როდესაც საქმე ჯანმრთელობას ეხება, გლობალური დათბობა და ა.შ.

ამ პრობლემათა დეესკალაცია მხოლოდ გაერთიანებული ძალებითაა შესაძლებელი და თუ სახელმწიფოები გააგრძელებენ ერთმანეთთან დაუსრულებელ დავას, ცხადია, ვერ შეძლებენ გაუძლონ ამ არსებულ გამოწვევებს.

1969 წელს ჯონ ლენონმა და იოკო ონომ ტაიმს სქუერზე ბილბორდი გამოაქვეყნეს წარწერით: ,,ომი დასრულდება, თუ ჩვენ ამას მოვინდომებთ''. ძალიან ბევრი აქცია, გამოსვლა გამართულა ომის წინააღმდეგ. ეს ხალხი ამბობდა, რომ ომები, ეს არის პოლიტიკოსების არჩევანი, რომელიც სულაც არ გამოხატავს უდანაშაულო ადამიანთა სურვილებსა და ნებას.

„მშვიდობა ყველა სამართლიანობაზე მნიშვნელოვანია“ — მარტინ ლუთერი.

ამერიკული ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი CAST Centers პიროვნულ დონეზე მშვიდობის მიღების რამდენიმე კონცეფციას გვთავაზობს.

პირველი არის მიღება — უნდა მივიღოთ ის, რასაც ვერ შევცვლით, მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ეს წინააღმდეგობის გაწევისა და უარყოფის გარეშე მოვახერხოთ. ასევე, უნდა მოვიკრიბოთ გამბედაობა, რომ შევცვალოთ ის, რაც შესაძლებელია.

მეორე კონცეფციით კი წარსულისა და მომავლისგან თავის დაღწევაზე საუბრობენ. ამბობენ, რომ შინაგანი სიმშვიდე არსებული რეალობიდან უნდა მოვიპოვოთ.

მშვიდობის შესანარჩუნებლად შფოთვისა და დაბნეულობის დაძლევაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შესაბამისად, მესამე კონცეფცია იმ სიტუაციაზე საუბრობს, როცა ცხოვრებაში „ყველაფერი ერთად ხდება“. ხოლო თუ დიდ საქმეებს პატარა ამოცანებად დაყოფთ, ამ სიტუაციასთან გამკლავებასაც მარტივად მოახერხებთ.

სტრესი და ჯანსაღი ცხოვრება აქაც აქტუალურია, მეოთხე კონცეფციით სტრესის ფიზიკური გავლენის დასაძლევად სწორედ ძილს, ვარჯიშსა და მედიტაციას გვირჩევენ.

ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა
YOUNG LEADERS SCHOOL

XXI საუკუნის პიროვნული და სოციალური კომპეტენციების ფორმირების პლატფორმა

www.Freeacademy.edu.ge
info@freeacademy.edu.ge

თბილისის თავისუფალი აკადემია

სერია "მომავლის ლიდერი"



თბილისის თავისუფალი აკადემიის გამომცემლობა

0160, თბილისი, ჯურხა ნადირაძის 46

+995 322 369 160

+995 599 670 108